№ 5
ოთხშაბათი, 22 იანვარი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 5
ოთხშაბათი, 22 იანვარი 1897 წ.

**ბაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

## „ივერია“
გამოვა 1897 წელს
იმავე პროგრამმით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

| | მ. | კ. | | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 11 თვით და 13 დღით | 9 | 60 | 6 „ | 6 | „ |
| 11 „ | 9 | 50 | 5 „ | 5 | 50 |
| 10 „ | 8 | 75 | 4 „ | 4 | 75 |
| 9 „ | 8 | „ | 3 „ | 3 | 50 |
| 8 „ | 7 | 25 | 2 „ | 2 | 75 |
| 7 „ | 6 | 50 | 1 „ | 1 | 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ღირება 17 მ.
ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Редакція „Иверія“.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21 და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად აზნაურთა ქარვასლაში.
თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სადმე ქალაქს გარედვე—ორი აბაზი.
თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

### 1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წლის მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხის თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.
ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

ქართული თეატრი.
**ბენეფისი**
ქ. დ. ყიფიანისა.
ოთხშაბათს, 22 იანვარს.
ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ საფაროვი-აბაშიძისა, ბ-ნ აბაშიძისა და ყიფიანის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება:

I
**ვენეციელი ვაჭარი**
დრ. 4 მოქ. 5 სურ., შექსპირისა, თარგმ. დიმიტრი ყიფიანისა.

II
**უბედური დღე**
ვოდ. 1 მოქ., ბალანჩივაძესი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვი-აბაშიძისა, გამყრელიძე, კარგარელი, კუნდელი და სხვ. ბ-ნნი. აბაშიძე, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, მარჯანიშვილი, კანდელაკი, შათირიშვილი, გამყრელიძე, ბალანჩივაძე, ნემო, ადამიძე.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზედ
რეჟისორი კ. ყიფიანი.
ადმინისტრ. კ. შათირიშვილი

ტფილისი, 21 იანვარი

მეოთხე საგანი, რომელიც კამისიას გამოურკვევია *), ის არის თუ—რა დასჭირდება რომ ოძისის სკოლა გაიმართოს, მოეწყოს და რა ხარჯი მოუნდება მას შემდეგ ყოველ წლივ. ამის შესახებ კამისიას სრული და დაწვრილებით შეუდგენია ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც უნდა წარედგინოს თავად-აზნაურთა კრებას. ამ ხარჯთ-აღრიცხვიდამა სჩანს, რომ, თუ სახეში მივიღებთ 80 შეგირდს და იმათგან მარტო ორმოცს, რომელთაც თვით სკოლა შეინახავს თავისის ხარჯით, სკოლას მოუნდება მოწყობისა და მომართვისათვის 47,300 მანეთი ერთხანად და ყოველ წლივ 21,270 მანეთი—იმ 4000 მანეთის გარდა, რომელსაც თვითონ შემოწირული მამული შემოიტანს. კამისია ამასთანავე იმედოვნებს, რომ თვითონ შემოწირულ მამულის შემოსავალი თანდათან იმატებს და საკმაოდაც, რადგანაც უფრო უკედ მოუვლის და უპატრონებს სკოლა.

კამისია აცხადებს, რომ რადგანაც ოძისის მამულში უკვე სადგური შენობებია და სხვა საოჯახო მომართულობა და რადგანაც პირველ ხანებში კლასები საჭირო არ იქნება ერთბამად ყველა ერთად გაიმართოს, ამისათვის შესაძლოა, რომ ზემოხსენებული ხარჯი პირველ სამს წელიწადს ამ ნაირად განაწილდესო: პირველს წელიწადს გაწყობისა და მომართვისათვის საჭირო იქნება მარტო 19,400 მანეთი, მეორე წელიწადს 16,500, მესამე წელიწადს 11,400 და ყოველ წლიურ ხარჯად პირველს წელიწადს 16,000 მანეთი, მეორე წელიწადს 18,500 და მესამე წელიწადს 22,000.

ამ სახით გამოდის, რომ პირველ წლისათვის ერთობილი ხარჯი შეადგენს 35,000 მანეთს, მეორე წელიწადს—35,000 და მესამე წელიწადს—33,500. ამ ხარჯებს უნდა გამოეკლოს ოთხასი თუმანი, რომელიც ოძისის მამულიდამ ყოველ წლივ უნდა შემოვიდეს კამისიის აზრით.

კამისიას უგრძვნია, რომ იმოდენა ფულის გამოღება, რაც ზემო მოყვანილ ანგარიშით საჭიროდ მის მიერ დანახულია, დაუმძიმდება თავად-აზნაურობას და მოუწადინებია შემდეგის სახით გაუადვილოს. იგი ამბობს, რომ 47,300 მანეთი, ან ცოტა ამაზე ნაკლები შესაძლოა ისესხოთო საადგილ-მამულო ბანკიდამ იმ პირობით, რომ თავნი და სარგებელი იხადოს საერთო საჭიროებისათვის გადადებულმა ფულმაო. თუ ეს მოხდა, მაშინ საქმე მარტო იმაზე მიდგება, რომ თავად-აზნაურობამ ინაღვლოს მარტო 21,270 მანეთი ყოველ წლივ ხარჯისათვის, თუ 40 შეგირდს სკოლა თავისის ხარჯით შეინახავსო და თუ ეს თავისის ხარჯით შესანახი არ მოუნდება, მარტო 17,270 მანეთის შოვნა-ღა დასჭირდებაო. ამ სახით პირველ წელიწადს დასჭირდება, თუ 40 შეგირდს თავისის ხარჯით შეინახავს 12,000 მანეთი, მეორე წელიწადს 14,520 და მესამე წელიწადს 18,100 და თუ შეგირდებს არ შეინახავს თავისის ხარჯით,—პირველს წელიწადს 11,000 მანეთი, მეორეს—12,520 და მესამეს—15,000. ხოლო მეოთხე წელიწადს სრულს ხარჯში შევა სკოლა და ყოველ წლივ დასჭირდება, 40-ს შეგირდს თუ თავისის ხარჯით შეინახავს, 21,270 და თუ არა—17.200 მანეთიო.

თუ ვინიცობაა ბანკიდამ აღებული სესხად ფული არ აუდგება 47,300 მანეთს, მაშინ ეს აღრიცხვა ამის და მიხედვით შეიცვლებაო.

ჩვენ არ შევალთ იმის გარჩევაში თუ—რამოდენად ზედ-მიწევნილია ეს რაოდენობა ხარჯისა. მცოდნე და ამ საგანზე დაახლოვებულ კაცებს გამოურკვევიათ ეს რაოდენობა და ჯერ ხანად მაინც საბუთი არა გვაქვს მათი გამონარკვევი არ დავიჯეროთ. ხოლო საკითხავი ეს არის: საიდან და როგორ უნდა შესძლოს თავად-აზნაურობამ ამ ხარჯის გაძლოლა? ამ საკითხავზედაც პასუხს იძლევა თითონ კამისია. იგი ამბობს, რომ ჩვენ აღვნიშნეთ შემდეგი წყარონიო: 1) ის სამეურნოე თავნი-ფული, რომელიც წესდების ძალით უნდა გადიდოს ხოლმე თავად-აზნაურთა ბანკის მოგებიდან ყოველ წლივ; 2) ზოგი იგი შემოსავალი, რაც თავად-აზნაურთა ქარვასლას აქვს და ექნება; 3) ზოგი საერთო

*) იხ. „ივერია“ № 4. მეთაური.

## ფელეტონი

—

### პროფესორ ისაევის რეფერატი სოციოლოგ კიდდის ევოლიუციურ თეორიაზედ *)

ისტორიულ საზოგადოების უკანასკნელ სხდომაში (30 ოქტომბერს, უნივერსიტეტის აუდიტორიაში) პროფეს. ა. ა. ისაევმა წაიკითხა საკმაოდ საინტერესო რეფერატი. საგნად თავისის რეფერატისა პროფესორმა აიღო შეხედულება სოციალოგ კიდდისი შესახებ საზოგადოებრივ ევოლიუციისა: ამ სოციალოგმა თავის ახლად გამოსულ წიგნში გადაჭრით და დაჯერებით გაატარა თავისი აზრი და მოსაზრებანი ამ საგანზე.

გამორკვევა-დასაბუთება იმისა, თუ რა მიზეზები და გარემოებანი ქმნიან საზოგადოების ევოლიუციას; რა ამოძრავებს და განმარტავს კაცობრიობის ისტორიას—ეს (საკითხნი) კითხვები ძირეული და უპირველესთ კითხვები არიან მეცნიერებაში.

თუმცა არსებობს მრავალი შეხედულება ისტორიულ ზრდაზე, მისი მიმდინარეობა-საფუძველზედ, მაინც ეს შეხედულებანი შეგვიძლიან გავყოთ ოთხ კატეღორიათ—ოთხ სკოლებად; 1, სკოლა ორგანიული (სპენსერი), 2, დარვინის; 3, ფსიხოლოგიური (ენციკლოპედები) და ბოლოს 4, ეკონომიური ანუ მარკსის.

კიდდის შეხედულებას უჭირავს შუა ადგილი დარვინისა და ფსიხოლოგებს შუა.

უკანასკნელ სკოლიდგან მან მიიღო, შეითვისა ის დედა-აზრი, რომლითაც საფუძვლად ყოველივე განვითარების და წინმსვლელობისა აღიარებულია სარწმუნოება.

ამ შენიშვნიდგან აშკარად სჩანს, რომ კიდდის მოუწადინებია შეერთება-გაერთიანება შეუერთებელ-გაუერთიანებელისა დარვინის ტეორიის ფსიხოლოგიურ ტეორიასთან.

რომ უფრო ნათლად გამოჩნდეს შეცდომა, უსაფუძვლობა კიდდის ტეორიის დედა-აზრისა, ვგონებ უსარგებლო არ იქნება მოკლედ აღვნუსხოთ შეხედულებანი ზემოდ დასახელებულ სოციოლოგიურ სკოლებისა და მერე გადავიდეთ ისაევის გარჩევაზედ.

ორგანიული სკოლა, ხელმძღვანელობს რა ანალოგიით საზოგადოების და ორგანიზმის შუა,—ამტკიცებს, რომ კაცობრიობა, მისი ცხოვრება წინ მიდის, უმჯობესდება. მისი თავდა პირველად სუსტნი ძალნი,—ჯერ კიდევ გაუფურჩქვნელნი რომლებიც იმალებიან საზოგადოების ორგანიზმში, თანდათან ძლიერდებიან და აძლევენ ცხოვრების საზოგადო მიმდინარეობას თავისებურ მიმართულებას, ელფერს... ბრძოლა არსებობისთვის, რომელიც მეფობს და ბობოქრობს ორგანიულ არსებათა შორის, მეფობს აგრეთვე ადამიანთა საზოგადოებაში—ასეთია შეხედულება დარვინის სკოლისა. როგორც ორგანიულ არსებათა შორის, აგრეთვე ადამიანთა საზოგადოებაში პროგრესსი ნაყოფია ბრძოლისა, ერთი მხრით დამარცხებისა სუსტ არსებათა, მეორის—მძლავრთა გამარჯვებისა. ბრძოლა, ჯიბრი, დამუქრება—აი ჩარხი, ბორბალი ევოლიუციისა.

ფსიხოლოგიური სკოლა განიყოფება რამოდენიმე რიგად, მაგრამ ამ რიგებს აერთიანებს და აკავშირებს ის უმთავრესი იდეია, რომ ადამიანის სულიერ მხარეებში უნდა ვეძიოთ ძალა, რომელიც ამოძრავებს ისტორიას. ამასთან ერთნი უმთავრეს ადგილს უთმობენ ჰკვა-გონებას (l'opinion c'est que gouvervele monde); მეორენი—გრძნობას; მესამენი—ნებას (Воля)? კერძოთ-კი მეორენიც არ ეთანხმებიან ერთმანეთს, თუ რომელ გრძნობას უნდა დაეთმოს, მის შესახებ პირველი ადგილი. კიდდს, მაგ., მიაჩნია უმთავრესად და საყურადღებოდ ევოლიუციაში სარწმუნოებრივი გრძნობა...

ეგრედ წოდებულ ეკონომიურ მატერიალისტები ამტკიცებენ—როგორც ამბობს მათი მამათ-მთავარი და მასწავლებელი მარკსი *)—, რომ ადამიანნი შედიან განსაზღვრულ საზოგადოებრივ ერთმანეთ-შორის დამოკიდებულობაში არა თავისს თავისუფალ სურვილით, არამედ იძულებულნი ეკონომიურ მდგომარეობით... თვით გაგება და თვით შემცნება-კი არ აძლევს ასეთ, თუ ისეთ სახეს ცხოვრებას; პირიქით საზოგადოებრივი, ეკონომიური დამოკიდებულება ფარგლას, აძლევს თავისებურ ფიზიონომის ხალხთა თვით-შეგნებლობას...

ახლა გადავიდეთ პროფ. ისაევის რეფერატზე და მისი შინაარსის მოკლედ გადმოცემაზე.

პირველი ნაწილი რეფერატისა შეიცავს აღნუსხვას კიდდის ტეორიის;—მეორე—მის გარჩევას და გაკვრით კრიტიკას.

კიდდი მოწინააღმდეგეა იმ მიმართულებისა, რომელიც უმთავრეს ადგილს უთმობს საზოგადოებრიულ ევოლიუციაში გონებას; აგრეთვე ის არ ეთანხმება იმათაც, რომლებიც საძირკვლად პროგრესისა (ევოლიუცია) მიაჩნიათ ეკონომიური დამოკიდებულებანი. ამ უკანასკნელ ფაქტორზე კიდდი სულაც არ ლაპარაკობს.

მისი აზრით ადამიანთა შორის მეფობს მწვავი, მკაცრი ბრძოლა არსებობისათვის. მძლავრნი და ღონიერნი იმარჯვებენ, სუსტნიკი ემორჩილებიან ძალას და მიათრევენ დროებით უფერულ, უძლურ და შესაბრალისს სიცოცხლეს. როგორც სახსარს და ღონისძიებას გამოსასვლელად ასეთი მკაცრი მდგომარეობისაგან, გონება ადამიანისა უთითებს და ურჩევს საზოგადოების სუსტთ წევრთ ეცადონ, რათა მატერიალური სარჩო საბადებელნი იყოს გაყოფილი თანასწორად. ამ მიზნის მისაღწევად უნდა შეიცვალოს წარმოება, განაწილება შრომისა... ნაჩვენები ღონის-ძიებანი მხოლოდ მაშინ

*) ჩვენ ვხელმძღვანელობთ ამ სტატიის დროს. „Сиб. Вѣст.“ დაბეჭდილ სტატიებით „Петербургскія письма“

*) Критика нѣкоторыхъ положеній по политической экономіи Маркса. Предис. спр. X.

საჭიროების თავნი-ფული, რომელიც სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მოგებიდან შესდგება ხოლმე და 4) იგი ფული, რომელიც შესაძლოა ისესხოს ბანკიდან თავად-აზნაურობამ და გირაოდ მისცეს თვით ოძისის მამული იმ პირობით, რომ თავნი და სარგებელი მოშორებულ იქმნას იმავე საერთო საჭიროებისათვის გადადებულ ფულიდამ, რომელიც წინა მუხლშია მოხსენებული.

ჩვენდა სამწუხაროდ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ნაჩვენებ წყაროთაგან საიმედოა მარტო ერთი. ეგ ის წყაროა, თუ თავად-აზნაურობა დააგირავებს საადგილ-მამულო ბანკში ოძისის მამულს და იქიდან ნასესხის ფულით ხელს მოინაცვლის. სხვა წყაროები დიდად საეჭვოა. საერთო საჭიროებისათვის ბანკის მოგებიდან გადადებულს ფულს ისეთი მძიმე ტვირთი აწევს აწ არსებულის სათავად-აზნაურო სკოლის შენახვისა, რომ ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ, თუ ამას უნაკლულოდ გაუძლვა. ჩვენის ფიქრით, ამ ფულს არამც თუ სხვა უფრო მეტი რამ ტვირთი უნდა მოუმატონ, არამედ თავად-აზნაურობამ უნდა წინადვე იფიქროს სხვა რამ წყარო მოაშველოს, რომ ბანკმა შესძლოს ყოველ-წლივ ეს სამსახური გაუწიოს აწ არსებულს სკოლას თავად-აზნაურებისას. ჯერ თვითონ ბანკი იმისთანა ბუნების და თვისების საქმეა, რომ იმედს ყოველთვის მოგებისას ვერ მოგცემთ და, მაშასადამე, ჯერ სათავად-აზნაურო სკოლაც ამ მხრით დიდს განსაცდელშია. მერე ჩვენს ბანკს ამ უკანასკნელ წლებში ისეთი დავიდარაბა და თავში საცემი ამბები დაატყდა ჩვენგანვე, რომ სავინიცობაოდ გახდა მისი ბედი და უბედობა და ღმერთმა იცის რამოდენად კლებაში შევა მისი მოგება. აი წელს, მაგალითად, არა გვგონია იმოდენა იყოს, რომ დაჰფაროს მთლად აუცილებელი საჭიროება აწ არსებულის სკოლისა. თავად-აზნაურობას დასჭირდება მოფიქრება წელსვე საიდამ და როგორ გასწვდეს ამ სკოლის ხარჯსა. ქარვასლის შემოსავლიდამ თუ არ მოეშველა თავად-აზნაურობა ამ სკოლას, სკოლის საქმე მეტის-მეტად გაჭირდება წელსავე. ამიტომაც მეტი და ტყუილი იმედი იქნება, რომ ბანკის მოგებისაგან გადადებული ფული და ქარვასლის შემოსავალი სხვა რასმეს მოხმარდეს თუ არ აწ არსებულ სკოლას თავად-აზნაურობისას. ამიტომაც ამ ორს წყაროზე დაფუძნებული ანგარიში ქვიშაზე აშენებული შენობა იქნება და არა იგი ულეველი წყარო, რომელიც საჭიროა იმისთანა სამუდამო და მძიმე საქმის გასაძღოლად, როგორც სკოლაა.

თვით სამეურნეო საჭიროებისათვის თავნი ფული, რომელიც ბანკმა უნდა გადასდოს ამას იქით თავისის მოგებიდამ, ეგეც საეჭვოა, იმიტომ რომ ეგ ფულიც, როგორც საერთო საჭიროების ფულიცა, იმაზეა დამოკიდებული ექნება მოგება ბანკსა, თუ არა და რამოდენა ექნება. ამისთანა იმედზედ დამყარებული სკოლა იმავ წელიწადში სულს დალევს, რა წელიწადშიაც ან ცოტა იქნება მოგება, ან სულ არ იქნება. ერთიც და მეორეც შესაძლებელია და ამიტომ ამისთანა ყინულზე თამასუქის წერა ვერაფერი გამოსაყენია და დიდად საფრთხოა განზრახულ სკოლისათვის.

## მთავრობის განკარგულება

**ხარისხი ებოძათ:** სიღნაღის მაზრის ზოლიციის თარჯიმანს თავ. ჯორჯაძეს, სამსახურის წელთა შესრულებისათვის, ებოძა კოლლეჟსკი რეგისტრატორობა, უფროსობით 1890 წ. 7 ივლისიდგან.

**დანიშნულ იქმნა:** ბორჩალოს მაზრის ერობის დარაჯის ურიადნიკი, მილიციის იუნკერი, გიორგი ხოხიაშვილი დანიშნულ იქმნა იმავე მაზრის ერობის დარაჯის დისტანციის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად.

# ახალი ამბავი

*** ხუთშაბათს, 23 იანვარს, დანიშნულია საგანგებო კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა, რომელიც განიხილავს სოფელ ოძისში სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დაარსების საქმეს.

*** გაზ. „ტფილ. ფურც.“-ს დეპეშით აუწყებენ პეტერბურგიდამ, რომ კავკასიის მთავარ-მართებელი თავადი გ. ს. გოლიცინი მომავალს კვირას მოდის ტფილისშია და იმასვე გარდაეცა კავკასიის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული პროექტი კავკასიის გლეხთა მიწის მხრივ მოწყობის საქმის შესახებ, წარდგენილი მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გრაფი ი. დ. ტატიშჩევი 24 იანვარს, დილით, მოსკოვს მიდის.

*** პეტერბურგის გაზეთები იუწყებიან, რომ სამკურნალო დეპარტამენტი ჰგზავნის თურმე ათს მკურნალს სამხრეთ-აღმოსავლეთის და სამხრეთის სამზღვრებზე, რომ თვალყური და ზედამხედველობა იქონიონ ჯანმრთელობისათვის დადგენილ წესდების აღსასრულებლად ამ ადგილებში. სამი ამათგანი დანიშნულია ტფილისისა და მისის გარემოსათვის, სამი რეშტისა და მისის გარემოსათვის და დანარჩენები მთელ იმ მხარისათვის, საცა სპარსეთისა და რუსეთის საზღვრები ერთმანეთს ეყრება.

*** ორშაბათს, 20 იანვარს, ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის განყოფილებაში, კრება იყო სასამართლო უწყების საქველმოქმედო საზოგადოებისა. საზოგადო კრებამ თავმჯდომარედ აირჩია ნ. პ. სმიტენი, წაკითხულ იქმნა ანგარიში ამ საზოგადოების ტფილისის მმართველობისა და ბოლოს აირჩია გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები. გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: თ. ა. ბიკოვი, ა. ი. ივანოვი და ლ. ი. მღებროვი; მათ თანაშემწეებად: მ. გ. შარიგინი, ნ. პ. სმიტტენი და ლ. ლ. ფატეევი; ხოლო სარედაქციო კამისიის წევრებად: ი. კ. სავიცკი, ს. ი. ელენინი და ა. მ. მალინოვსკი. მმართველობის თავმჯდომარედ, საზოგადოების წესდების ძალით, უნდა იყოს თავმჯდომარე ტფილისის სამოსამართლო პალატისა, ს. ბ. ვრასსკი; მის თანაშემწედ კი—პალატის ბრალმდებელი ე. ვ. ვასილიევი.

*** გუშინ ჩვენ ვაუწყეთ მკითხველებს, რომ რიყეზე ქუნთრუშით ავადმყოფთა საავადმყოფოს დაარსებაა გარდაწყვეტილიო. ამ საავადმყოფოსთვის სახლი უკვე მზად არის და მალე საქმესაც შეუდგებიანო. საავადმყოფოსათვის მამიკონოვის სახლი დაუქირავებია ქალაქის გამგეობას.

*** როგორც „პრიაზ კრაი“ გვაუწყებს, მომავალ გაზაფხულიდამ კავკავის რკინის გზის საზოგადოება შეუდგება პეტროვსკიდამ დერბენტამდის რელსების დაგებას. ხსენებულის შტოს გაყვანა საზოგადოებას დაუჯდება 5,265,000 მან. მთელი შემოსავალი პირველ ხანებში 496,000 არ აღემატება. წლიური ხარჯი ექნება გზას 273,000 მან., წმინდა მოგება, მაშასადამე, დარჩება 223,000 მან. ეს ძალიან ცოტა მოგება არისო, დასძენს გაზეთი, მაგრამ საზოგადოებას იმედი აქვს, რომ შემდეგში ეს გზა დიდს სარგებლობას მოიტანს, რადგან ის გზა ისეთ ადგილებში გადის, სადაც ბევრი სიმდიდრე მოიპოვებაო.

*** „სევერ. კავკ.“ იუწყება, რომ 26 იანვარს სტავროპოლში მოელიან ტფილისის სამოსამართლო პალატის თავმჯდომარეს ბ-ნ ვრასსკის იქაურ სასამართლო დაწესებულებათა სარევიზიოდაო.

*** როგორც ვუწყით, ქალაქის თვით-მმართველობამ განიზრახა ტყეების გაშენება ტფილისის გარშემო მყოფ მოტიტვლებულს მთ ბზედ, რაც რასაკვირველია, დიდს სარგებლობას მოუტანდა ჩვენს ქალაქს. ეხლა გვაუწყებენ, რომ ვიღაც თათარს თელეთის მთის ჩრდილოეთის მხარეს უკაფავს ახლად დარგული ხეები და თავისს სასარგებლოდ გამოუყენებია. ეს საქმე შეუტყვიათ და უკვე ოქმიც შეუდგენიათ, რის გამოც ხსენებული თათარი ამ ჟამად სამართალშია მიცემული. საზოგადოდ ამ თელეთის მთას დიდი თვალ ყურის გდება უნდა, რადგან ლავაშის მცხობელი თათრები სჩეხენ ახალ დარგულს ხეებს თურმე და იმითი თონეს ახურებენ, ასეთი შეუბრალებლად კაფვა ახლად დარგულ ხეებისა, რასაკვირველია, დიდად შემაძრწუნებელია და კარგია იქნებოდა, რომ მისნი მომქმედნი სასტიკად იქმნენ დასჯილნი და ამითი შიში მიეცეთ სხვებსაც, რომელთაც არ ესმით მნიშვნელობა ამ კეთილის საქმისა.

*** გაზ. „კავკაზს“ შემდეგს ამბავს ატყობინებენ: 19 იანვარს, როცა სად. ევლახიდამ გამოდიოდა საქონლის მატარებელი № 47, ზედ შემხტარა თურმე ორი თათარი, რომელთაც ვაგონების გაცარცვა სდომებიათ. ერთ იმათგანს მაშინვე დაუწყია უკანა ვაგონის კარების გაღება, რომელიც არყით ყოფილა დატვირთული. ეს დაუნახავს იქვე, მეორე ვაგონზე, მყოფს კონდუკტორს ნემოკლიძეს და მაშინვე წითელი ნიშანი აუმართავს, მაგრამ, რადგან ბურუსიანი ღამე ყოფილა, ეს ნემოკლიძის ამხანაგებს ვერ შეუმჩნევიათ. ამ დროს მეორე თათარი მივარდნია ნემოკლიძეს და ფულების თხოვნა დაუწყვია, ნემოკლიძეს კი მხოლოდ 23 კაპ. ჰქონია ჯიბეში, მაგრამ ავაზაკ თათარს ეს უცოტავნია და მეტის თხოვნა დაუწყვია, თან რევოლვერიც ამოუღია ბუდიდამ და მოკვლას დაჰმუქრებია. ამ დროს ნემოკლიძე მივარდნია თათარს რევოლვერის წასართმევად, მაგრამ თათარს რევოლვერის სროლა მოუსწრია და ნემოკლიძე მარცხენა მკლავში დაუჭრია. ამის შემდეგ ორივე თათარი მატარებლიდგან გადამხტარან და გაქცეულან, ისე რომ ვერაფრის წაღება ვერ მოუსწრიათ. დაჭრილს შემწეობა აღმოუჩინეს სად. მინგეჩაურში და იქიდგან სახალხო მატარებლით განჯის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

---

იქნებიან ნაყოფიერნი და გამოსადეგარნი, თუ რომ ბრძოლა, ჯიბრობა იყვეს დროებითი და წარმავალი მოვლენა. მაგრამ ეს ასე როდია.

სარწმუნოება-კი ერთის მხრივ ამხნევებს „დაჩაგრულთ და დამარცხებულთ“ და იმედს უნერგავს მათ დაირავებულ გულში, რომ ნაცვლად დროებითი წვალებისა მათ ემზადება სასუფეველი ცათა. ის უმტკიცებს მათ, რომ ტანჯვა ამაღლებს სულს, ასპეტაკებს გრძნობა-გონებას—ერთის სიტყვით ხდის მათ (ჩაგრულთ) გმირებად. მეორეს მხრით-კი ის (სარწმუნოება) იძულებულს ჰყოფს „დამჩაგვრელთ და გამარჯვებულთ“ უფრო რბილად, ჰუმანიურად მოექცნენ სუსტებს და ბედისაგან დამცირებულთ.

ძველ დროში, მაგალ., ჩვენ ვხედავთ, რომ შრომა ითვლებოდა სამარცხვინოდ: მხოლოდ მონებს შეჰფეროდათ შრომა-გამრჯელობა. საზოგადო, ამაოხრებელ-ამაწიოკებელი ომი და სისხლის ღვრა-კი ითვლებოდა უმაღლესს სათნოებად.

ახლანდელ დროში ჩვენში მეფობს სულ სხვა შეხედულება: შრომა ყველასაგან მოწონებულია. სამუდამო მშვიდობიანობა და თანხმობა კი შეადგენს უგულითადესს სურვილს ყველასათვის. რამ გამოიწვია ასეთი რადიკალური ცვლილება? ჭკუა-გონებამ კი არა,—სარწმუნოებამ,—გვეუბნება კიდდი,—რომელიც ჰქმნის და ამდინარეობს ისტორიას. გონებამ კი არა, აღტაცებულ გრძნობამ, რომელიც მომდინარეობს სარწმუნებრივი პრინციპისაგან: „გიყვარდეს მოყვარე შენი ვითარცა თავი შენი“—შექნა, გამოიწვია დემოკრატული მოძრაობა 150 წლის განმავლობაში. მართლა, კიდდის აზრით, უკანასკნელ დროში ძლიერ გახშირდა თანაგრძნობა, გულჩვილობა სიბრალული. ამას ამტკიცებენ, მისი აზრით, შემდეგი ფაქტები: ბრძოლა ჩრდილო-ამერიკელ მონების გასანთავისუფლებლად; დახმარება, დაცვა სუსტთ ერთა მადავახსნილ ძლიერ ერის კლანჭებისაგან; მაგ., ბალკანელ სლავიანების, სომხებისა და სხვა და სხვა.

გარდა ამისა, როგორც საზოგადო მოვლენა, შემჩნეულია, რომ უმაღლესი წრე საზოგადოებისა მეგობრულად ხელს უწვდის დაბალ წრეს: ის თითონ, თავის ნებით, უთმობს უმცროს თანამოძმეს და თანამემამულეს ზოგიერთ უფლებებს. ეს მოხდა, მაგ. მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, როდესაც, როგორც შენიშნავს მიშლე, საზოგადოების უმაღლესი და გავლენიანი წრეები უთმობდნენ დაბალ ხალხს ზოგიერთ უფლებათ მხოლოდ გულ-კეთილობით და არა ძალდატანებით, როგორც ჰგონიათ ტოკველს (და კავალევსკს)...

ერთის სიტყვით ყოველთვის და ყოველგან ალტრუიზმი მმართველ წრისა და არა ძალა ხალხისა ჰქმნის პროგრესს-ისტორიას. აი აქ დამალულია ის შეცდომა ზოგიერთ სოციოლოგებისა, რომლებიც ევოლიუციას მთლად ამყარებენ წრეთა ბრძოლა-ქიშპობაზე.

თუმცა ეხლანდელი სოციალიზმი შორს არის „უტოპიობისაგან“, თუმცა ის დამყარებულ-დაფუძნებულია ყველა იმ ჭეშმარიტებებზე, რომლებიც გამოირკვა მეცნიერების მეოხებით, მაინც მასში დიდი ადგილი უჭირავს ალტრუისტულ გრძნობას.

უმთავრესი მიზანი სოციალიზმისა არის შერყევა, გაქარწყლება ინდივიდუალურ ბრძოლისა არსებობისათვის, მაგრამ ეს მიზანი აუსრულებელი და მიუღწეველია, რადგანაც ყოველგან და ყოველთვის ბრძოლა ყოფილა, არის და იქმნება. სადაც არ არის ბრძოლა, ქიშპობა—იქ არც მოძრაობაა, არც პროგრესსია. იყო დრო, როდესაც ევროპაში მეფობდა წოდებრივი განკერძოება, ახლა-კი პოლიტიკურად ყველანი თანასწორნი არიან, თუმცა ბრძოლა და დამუშთრება დღემდისაც არ შემწყდარა.

იქნება ისეთი დრო, ჰგონია კიდდს, როდესაც ადამიანნი ეკონომიური მხრით თანასწორ გამძლავრდებიან, თუმცა ბრძოლა მაინც არ შესწყდება. სოციალური გეგმა შექმნილია გონებით, მაგრამ გონება-კი არ ატრიალებს ბორბალს წინმსვლელობისას, არამედ სარწმუნოება—ალტრუისტული გრძნობა. გონება რომ იყოს დედა-ბოძი წინმსვლელობისა, მაშინ ჩვენ იძულებულ ვიქნებით უარ-ვყოთ თვით პროგრესსი.

ახლანდელი კაცობრიობა ჭკუა-გონების მხრივ სრულიადაც არ აღემატება,—პირ-იქით დაბლა სდგას,—ბერძნებზე და რომაელებზე. ველური ხალხნი, რომლებიც სწავლობენ სასწავლებელში ევროპიელებთან ერთად (ავსტრიაში მაგ.) იჩენენ არა ნაკლებ გამჭრიახობას და შეგნებას, ვინემ ევროპიელნი.

მაგრამ სოციალურ ცხოვრებაში პროგრესი ხომ აშკარაა რამ შექმნა, რა ძალა უწყობს ხელს ამ პროგრესს? რასაკვირველია ქრისტიანობა, სარწმუნოებრივი გრძნობა, რომელიც რამდენიმე საუკუნეა რომ მეფობს ევროპაში, და არა ჭკვა გონება. ფრანგები თავიანთი გამჭრიახობით და ნიჭიერებით მოგვაგონებენ ძველ ბერძნებს და დგანან მაღლა ინგლისელ-გერმანიელებზე. მაგრამ სოციალური ცხოვრება უკანასკნელთა უფრო განვითარებულია. რისთვის? იბადება კითხვა. იმისთვის, რომ ერთნი ნაკლებ, მეორენი კი (უფრო) მეტ მორწმუნენი არიან—ტევტონელებში ალტრუიზმია, აი ამისთვის მათ დაამარცხეს ფრანგნი ფრანგ-პრუსიის ომის დროს.

ყველა ზემოთქმულიდგან შეგვიძლიან გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ, რამდენადაც კაცობრიობა წინ წაიწევს, რამდენადაც განვითარდება მისი ცხოვრება, იმდენად (კაცობრიობა) თან და თან უნდა გახდეს უფრო მორწმუნედ, რადგანაც გონება კი არა სარწმუნოებრი-

*** სახელმწიფოში საუკეთესო ჯიშის ცხენების მოშენების საქმის მთავარ-გამგემ დაამტკიცა კავკასიის ცხენების მოშენების საქმის ხელ-შემწყობი საზოგადოების მიერ წარსული წლის 21 იანვარს არჩეულები: საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად სამის წლის ვადით პოლკოვნიკი თ. გ. ორბელიანი, ხოლო უფროს წევრებად: პირველ წევრად პოლკოვნიკი კ. ა. ყარანგოზიშვილი და მეორეთ—როტმისტრი ვ. ა. ბერგი, უვადოდ.

*** მკითხველებს ვაუწყეთ, რომ 20 იანვარს განჯაში მოკლულ იქმნა ტელეგრაფის მოხელე რიხტერიო. მის შესახებ შემდეგ ცნობებს კიდევ გვაცნობებენ: სასამართლოს გამომძიებელმა უკვე შეიპყრო ორი კაცი: პავლე თედეშვილი, ვანო სანოქოშვილი და ორი კაციც ჟანდარმს შეუპყრია—ვანო ტიბილაშვილი და კიმოთე კაკოშვილი, რომელზედაც იჭვი მიუტანიათ; დაუპატიმრებიათ აგრეთვე მიხეილ კაჩეიშვილი, რომელსაც აბრალებენ დამნაშავეთა დაფარვას. ოთხი კაცი ამ დაპატიმრებულთაგან უკვე სამსახურიდგან ყოფილან დათხოვილნი და პასუხისგებაში მიცემულნი, რადგანაც რკინის ქურდობა ჰბრალდებათ.

*** გაზ. „ყაზბეგი“ იუწყება, რომ ამ წლის ივლისში პეტერბურგის გეოლოგიური საზოგადოება თავისს წევრებს ჰგზავნის რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილას და კავკასიაშიაც, სადაც დაივლიან კავკავს და მადნეულ წყლებს. იქიდამ კავკავის სამხედრო გზით მოვლენ ტფილისს, შემდეგ წავლენ ბაქოსა, ბათუმსა, ქუთაისსა და პეტროვსკში, არარატის მთაზე და ამასთან მდ. რიონის ხეობასაც დაათვალიერებენ. ხსენებულნი გეოლოგიურის საზოგადოების წევრნი კრებას გაჰმართვენ აგვისტოს დამლევს.

*** მოგვყავს ზოგიერთი ცნობები იმ ანგარიშიდგან, რომელიც კავკასიის რკინის გზის გამსესხებელ-შემნახველი კასის მმართველობამ დაურიგა ამ დღეებში თავისს წევრებს. 1895 წელს კასსაში შესული საწევრო ფული 115,919 მ. 30 კ. (ამ რიცხვშია მოქცეული 1894 წლიდგან გადარჩენილი ფულიც); გაუტანიათ სესხად 58,248 მ. 32 კ. დარჩენილა 1896 წლის პირველ იანვრისთვის 57,670 მ. 98 კ. შესანახად შეუტანიათ: 4,887 მ. 15 კ.; გაუტანიათ 2,856 მ. 73 კ.; კასაში დარჩენილა 2,030 მ, 42 კ., ვალი დაუბრუნებიათ 160,103 მ. 69 კ.; ახალი სესხი გაცემულა და წევრებზედ დარჩენილა 1 იანვარს 217,243 მ. 20 კ.; სათადარიგო თანხად გადადებული 468 მ. 19 კ.; საანგარიშო წელს მოგება ყოფილა: 1,871 მ. 83 კ.; აქედგან სათადარიგო თანხის მისამატებლად გადაიდო თურმე 5°/₀ (93 მ. 59 კ.); კასაში მოსამსახურეთა ფონდისთვის გადაიდო 93 მ. 59 კ. კასის მონაწილეთა შორის გასანაწილებლად 1,684 მ. 65 კაპ.

*** რუსეთის უსინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილება გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი ანგარიში: 1896 წ. 1 დეკემბერს ამ განყოფილების კასაში იყო სულ 34,808 მ. და 92 კ.; დეკემბრის განმავლობაში შემოვიდა 871 მ. და 60 კ.; იმავე თვეში დაიხარჯა 1,488 მ. 20 კ.; 1897 წ. 1 იანვარს კასსაში იყო 34,192 მ. და 32 კ.

განყოფილების სამკურნალოში 1896 წლის დეკემბრის თვეში ავადმყოფი იყო 239 კაცი, რომელნიც, ძველ ავადმყოფებთან ერთად, 1682-ჯერ მისულან სამკურნალოში, იმავე დროს განმავლობაში 39 ავადმყოფს გაუკეთეს ოპერაცია. 1896 წლის განმავლობაში ახალი ავადმყოფი იყო 4215 კაცი, რომელნიც 23,208-ჯერ მისულან სამკურნალოში; ამათგან ოპერაცია დასჭირდა 583 კაცს.

## დამაკვირდი

ბედნიერება მშვიდობიანად ყოფნაა სულისა ჯანმრთელს ტანში.

ეპიკური.

**

გულ-კეთილობა იზიდავს ჩვენგან ადამიანის გულს, პატიოსნება—პატივის-ცემას, ცოდნა გვარიდებს ცდომასა, ზომიერება გვიხსნის ხოლმე ნამეტანობისაგან, სიმაგრე ხასიათისა თავდება ამისი, რომ არავითარი გვეთება ბედისა და უბედურობა არ გაგვტეხს.

ვეისსი.

**

გულ-კეთილობა იგი კარგი და სასიყვარულო გუნებაა, რომელიც სასიამოვნოდ ჰქმნის ჩვენთვის სხვის ბედნიერებასაც.

ვეისსი.

## რუსეთის საშუალო სასწავლებლებში ცვლილებათა შემოღების შესახებ.

—

პოლონეთის გამოჩენილმა მწერალმა ჰენრიხ სენკევიჩმა ერთს თავის პატარა მოთხრობაში „რეპეტიტორის დღიურიდგან“ ჩვეულებრივის ხელოვნებით დაგვისურათ-ხატა ჩვენის დროის სკოლის მსხვერპლის შეგირდის ტიპი. ეს არის პატარა მიხასია, მზე-ბნელი და ხან-მოკლე მოსწავლე, ერთი იმ მრავალ მოსწავლეთაგანი, რომელიც ლათინურის გრამატიკის ზეპირობით ილაყებს ტვინს, იწყალებს გულს და ბოლოს, ძალ-ღონე-მიხდილი, ისევ კოკრად, ისევ გაუშლელად ესალმება წუთი-სოფელს... უკეთესს შემთხვევაში მიხასიები, ამდენის ტანჯვისა და ვაების შემდეგ, გამოლაყებულის თავითა და ჯიბეში „სწავლა დამთავრების დიპლომით“ გამოდიან მათთვის უცნობსა და გაუგებარს ცხოვრებაში. მაგრამ ეს მხოლოდ ორი უკიდურესი მხარეა ამ სამწუხარო და სავალალო მოვლენისა. უმეტეს ნაწილად კი მიხასიები მეორე—მესამე კლასიდანვე, ძალა-უნებურად სწავლას თავს ანებებენ და ამრავლებენ იმ „უიღბლოთა“ რიცხვს, რომელთა სახელიც ლეგიონია.

რა არის ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი? ამაზედ თვით ჩვენის დროის სკოლა იძლევა გულ-საკლავს პასუხს. მაგრამ ან რა პასუხი გვინდა? ვისაც ცოტად თუ ბევრად უგემნია სასწავლებლების სამსალა, ვისაც თავისს ყმაწვილობაში არა ერთი და ორი უძილო ღამე გაუტარებია სანთელთან ლათინურისა და ბერძნულის გრამატიკის ზეპირობაში, ის უმისოდაც ადვილად მიხვდება ამ სავალალო მოვლენის მიზეზს. ვინ არ იცის, რომ საშუალო სკოლა დღეს უმეტეს ნაწილად ხელს უშლის ყმაწვილის გონებრივს განვითარებას, ვერ აძლევს საჭირო და სასარგებლო გონებრივს საზრდოს, ისეთს საზრდოს, რომლის მონელებაც ადვილად შეეძლოს ყმაწვილის ნორჩს ტვინს... დღეს თითქმის ყველა კარგადა ჰგრძნობს ამას. დიდი ხანია გაისმის საზოგადოებაში და ჟურნალ-გაზეთებში საყვედური ჩვენის დროის საშუალო სკოლების ნაკლულევანების გამო. წარსულს წელს კურსკის აზნაურობამ კიდეც აღძრა კითხვა საშუალო სკოლებში ცვლილებათა შემოღების შესახებ. მაგრამ დღემდე ყოველი ეს მხოლოდ უდაბნოსა შინა მღაღადებლის ხმას წარმოადგენდა და საქმიანი შედეგი კი არ მოჰყოლია. მხოლოდ ეხლა სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ-ნმა მიხაილოვმა ამ დღეებში „ნიჟეგოროდ. ლისტ.“ დაბეჭდა პროექტი, რომელშიაც ურჩევს საშუალო სკოლებში ცვლილებათა შემოღებას და, რომელსაც ამ მოკლე დროში განიხილავს ნიჟეგოროდის თავად-აზნაურთა კრება. რუსეთის ჟურნალ-გაზეთები სიამოვნებით ეგებებიან ამ პროექტს, რომლის შინაარსსაც აქვე დაახლოებით გავაცნობთ მკითხველებს.

ბ-ნი მიხაილოვი თავის პროექტში ურჩევს საზოგადოებას, რომ გათანასწორდეს ყველა საშუალო სკოლების პროგრამა და მოისპოს ის ძირითადი განსხვავება, რომელიც ეხლა გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებ შორის არსებობსო. მოვაწყოთ საშუალო სკოლა ისე, რომ ყველა მოსწავლეს, თავისის ნიჭისა და გონებრივის ძალის მიხედვით, უეგზამენოდ შეეძლოს ყოველგვარ უმაღლესს სასწავლებელში შესვლა. გავამრავლოთ საშუალო სასწავლებლების რიცხვი, რომ მსურველთ სამეტოქეო ეგზამენების უმისოდ შეეძლოს სასწავლებლებში შესვლაო. გადავათვალიეროთ, შევასწოროთ სახელმძღვანელო წიგნები და განვდევნოთ მათგან გონების დამაჩლუნგებელნი. გავამრავლოთ საშუალო სატეხნიკო სასწავლებელი და ისეთ ნაირად მოვმართოთ შიგ სწავლა, რომ საზოგადოების უფრო ღარიბ ნაწილსაც კი შეეძლოს იმითი სარგებლობა. გავამრავლოთ აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლები, რომ მსურველთ დაუბრკოლებლად შეეძლოთ შიგ სწავლაო და სხვა...

როგორც ამ ბროექტის დედააზრიდგანაცა სჩანს, ეს ერთობ მცირე მოთხოვნილებაა და, რა თქმა უნდა, სრულიად და სავსებით ვერ დააკმაყოფილებს ზემოხსენებულს ნაკლს. მაგრამ მაინც სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ საშუალო სასწავლებლებში ცვლილებათა შემოღების აზრი უკვე მომწიფდა რუსეთში და ახლო მომავალში კიდეც განხორციელდება.

Pietro.

## შავი ჭირი და მისი წამლობა

პასტერის ინსტიტუტის მმართველს ექიმს მარმორელს დაჰკითხებია ერთი კორესპონდენტი შავი ჭირის შესახებ და აი რა პასუხი მიუღია:

„ჩვენს ინსტიტუტში იყო ექიმი იერსინი ასისტენტად და დღეს-კი იგი მმართველია ინსტიტუტის განყოფილებისა ნია-ტირანში. იერსინმა ორი წლის წინად ჰონკონგოში აღმოაჩინა შავი ჭირის მიკრობი. თუმც ჩინელების ფანატიზმი მეტად უშლიდა ხელს, მაგრამ იერსინმა მაინც მხნედ მოჰკიდა საქმეს ხელი და შეუდგა ჭირით დახოცილთა გვამების შესწავლას. ცალს ხელში დანა ეჭირა, გვერდზე რევოლვერი ჰქონდა მზად, რომ თავი დაეფარა გამძვინვარებულის ჩინელებისაგან, და აი, ამ გარემოებაში მუშაობდა. ჭირის დახოცილთა გვამის დასივებულ ადგილებში ადვილად მოიპოვა მიკრობები (ბაცილები). შემდეგ იერსინი მოვიდა პარიჟში და დაიწყო ჭირის ასაცრელის შედედებულის სისხლის (сыворотка) გამოგონებაზედ ფიქრი. მაშინ აზრადაც არავის მოსვლია, თუ ასე ადრე დაგვჭირდებოდა იგი შედედებული სისხლი. ამიტომაც თავდაპირველად ჭირი აუცრეს მარტო ერთ ცხენს. ძალიან ძნელი იყო ამგვარის შედედებულის სისხლით აცრა, რადგან მეტად საში-

---

ვი, აქედან წარმომდგარი ალტრუისტული გრძნობა, აგვირგვინებს კაცობრიობის ბედ-იღბალს. ასეთია სოციალური ტეორია კიდდისა.

ახლა გადვიდეთ პროფ. ისაევის ანალიზზე და მის კრიტიკაზე.

პროფესორი სრულებით ეთანხმება კიდდის იმაში, რომ გონება და გრძნობა „დაჩაგრულთა და უძლურთა“ არას დროს არ შეურიგდებიან იმ აზრს, რომ ისინი აუცილებლად უნდა ამოწყდნენ. უნდა ალგიგავონ პირისაგან ქვეყნისა, მაგრამ აქედან ის კი არ გამოდის, რომ გრძნობა გონება უსათუოდ ჰქმნიან ისტორიას, საზოგადოებრივ ევოლიუციას „გამარჯვება მძლავრთა და ღონიერთა ერთის მხრით და დამარცხება უძლურთა და სუსტთა,—მეორის, სრულებით ხელს არ უწყობენ პროგრესს“. ამ უკანასკნელ აზრის დასამტკიცებლად პროფესორმა მიმართა ფაქტებს ციმბირის ცხოვრებიდგან. ამოწყდომა, თან და თან კლება ძირეულ მცხოვრებთა, რომლებსაც სულ იქით და იქით ჩრდილოეთით მიერეკებიან ჩარჩ-ვაჭარნი და ალებ-მიმცემნი, დათმობა მათგან მამულ დედულისა, სამშობლო მიწა-წყლის, მჩაგვრელთა და უფრო ღონიერთა სასარგებლოდ და სახმარებლად, რომლებიც თითონ მათვის შეადგენენ აუცილებელ საჭიროებას და რომლებთან ისინი შესისხლ-ხორცებულ არიან წმინდა გრძნობით—აი რა სურათს გვიხატავს, აი რა უგულობა—ძალმომრეობას გვაგრძნობინებს „გამარჯვება, თარეში ძლიერთა და დამარცხება სუსტისა!!“ რა არის აქ პროგრესიული? განა ამას ჰქვიან ისტორიის წინმსვლელობა?

კიდდს ჰგონია, რომ ბრძოლაში თვითარსებობისათვის—დამარცხებულთ სარწმუნოება უქადის სასუფეველში უკეთეს მერმისს და მით არიგებს მათ კრულ და ტანჯულ აწმყო ცხოვრებასთან. მაგრამ ესეც ტყუილია.

შუათანა ადამიანი (средній человѣкъ), რომელიც შეადგენს უმთავრეს რიცხვს კაცობრიობისას, კი არ წააგავს იმ მართლა აღფრთოვანებულ და დიდებულ „მნათობთ ქრისტიანობისას“, რომლებიც ღიმილით ტუჩებზედ და პატივება-შენდობით კვდებოდნენ.

შუათანა ადამიანი ებღაუჭება ცხოვრებას, ებრძვის მოწინააღმდეგე და ხელის შემშლელ გარემოებათ დაკბილების ღრჭენით, და ბევრჯელ ღვთის გმობით ესალმება წუთისოფელს... განა სარწმუნოებრივი და ალტრუისტული გრძნობანი ლაგმავდნენ მონებს საბერძნეთში და რომში? ისინი ემორჩილებოდნენ თავიანთ ბედ-იღბალს მანამ იყვნენ სუსტნი და უმწენი. როდესაც კი იგრძნობდნენ ცოტაოდენ ძალღონეს, მაშინადვე ამხედრდებოდნენ მჩაგვრელთა წინააღმდეგ. ასევე იყო შუათანა საუკუნეებში. ახლანდელ დროში კი შური და სიძულვილია „მჩაგვრელების მიმართ“, უფრო გამწვავებულთა. წინანდელ დროში უპირველესობა ეძლეოდა ბუნებრივ ძალას: ფიზიკურს (ძალას) ღონეს, ჭკუას, მამაცობას ეშმაკობა-გაიძვერობას. ახლა-კი ხელოვნურს, რომელიც დამოკიდებულ არ არის ადამიანის ინდივიდუალურ თვისებისაგან. შესაძლოა, რომ რეგვენიც იყო, გამოტვინებულ-გამოთაყვანებულ, ბრმა-კოჭლი, ერთი სიტყვით საძაგლობა, მაგრამ თუ დაიბადე მემკვიდრედ მსხვილი სიმდიდრისა, შენ მაინც იქნები პირველი და „გამარჯვებული“ ცხოვრების მეჯლისზედ. ასეთი მოვლენის მიზეზით პროლეტარიატი იძულებულია ქედი მოიხაროს ბურჟუაზისა და კაპიტალიზმის წინ, რადგანაც მას არა აქვს ეკონომიური (ხელოვნური) ძალ-ღონე. მოვიგონოთ შეტაკებები და ამბოხებანი პროლეტარიატისა და ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ სრულიადაც არ ურიგდებიან თავის ბედ-იღბალს და ლამობენ მოესწრონ უკეთეს მერმისს, როდესაც ბუნებრივი ძალა გაიმარჯვებს. მართალია, რომ ალტრუიზმი იზრდება, მაგრამ ქრისტიანობის გავლენით კი არა, რადგანაც ის (ალტრუიზმი) არ მისდევს ქრისტიანობრიულ მოძღვრებას... მით უმეტეს, რომ შუათანა კაცი (средній человѣкъ) გაჟღენთილია ეგოიზმით. ალტრუიზმი იზრდება, ერთის მხრით, იმის წყალობით, რომ იზრდება და მატულობს ცოდნა; ხალხს ესმის და გაეგება შემთხვევა, როდესაც მისი პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები ერთდებიან; მეორეს მხრით (და ეს უფრო საყურადღებოა) ალტრუისტულ გრძნობას ხმარობენ უფრო დროს შესაფერად და სასარგებლოდ კიდევ იმის წყალობით, რომ ცოდნამ იმატა და ჭკუა-გონება დაადგა მართალ გზას...

კიდდი ფიქრობს, რომ როდესაც შეწყდება ბრძოლა თვით-არსებობისათვის, შეწყდება აგრეთვე ევოლიუცია—პროგრესსი. მაგრამ ეს ასე არ არის... ვსთქვათ, რომ ეკონომიურად ყველანი გათანასწორდნენ... ამას მოჰყვა ნაწარმოებთა გამრავლება... წარმოება-აღებ-მიცემობაში ადგილი არ აქვს დამატებულ ღირებულებას (Mehrwerth). როდესაც ასეთი სურვილი განხორციელდება, მაშინ, რასაკვირველია, ადგილი არ ექნება ბრძოლას არსებობისათვის. მაგრამ ამის მიზეზით უსათუოდ უნდა შესწყდეს ტეხნიკური და ეკონომიური ევოლიუცია?

დასასრულ, ისაევის აზრით, არიან ისეთი მხარეები პროგრესისა, როგორც მაგ., მეცნიერება, მხატვრობა, პოლიტიკა, სფერა მოწყალებისა და კეთილის მყოფლობისა, რომლების წინ-მსვლელობაში, ევოლიუციაში ჯიბრობას არ უჭირავს პირველი ადგილი.

ერთის სიტყვით, მომავალი გათანასწორება და გაერთიანება ნაწარმოებისა, რომელიც უნდა მოხდეს ახლო ხანებში,—სრულებით არ შეაფერხებს, ხელს არ შეუშლის პროგრესსიულ განვითარებას.

ბოლოს, ისაევი უსაყვედურებს (სრულებით კანონიერად) კიდდს, რომ ის უარსა ჰყოფს ეკონომიურს ფაქტორს ევოლიუციაში...

იპ. ვარ—ვა.

-ში ბაცილებთან ჰქონდა საქმე. ცხენს ძალიან მაგრად მოეკიდა აცრა, ხოლო მისმა შედედებულმა სისხლმა მშვენივრად იმოქმედა ვირთაგვებსა და ბაჭიებზედ, რომლებზედაც ვცდიდით შედედებულის სისხლის ძალას. ამის შემდეგ იერსინი გავგზავნეთ ნია-ტირანში, იქიდგან-კი ჩინეთში გაემგზავრა, სადაც ყოველ წელიწადს მძვინვარებს ჭირი. ჩვენს ინსტიტუტში შემუშავებული შედედებული სისხლი თან წაიღო, იქ სცადა ჭირიანებზედ და მოიპოვა იმისი უექველი საბუთები, რომ ამ შედედებულს სისხლს მეტად სასარგებლო თვისება ჰქონდა ჭირიდ ავადმყოფისათვის.

. იერსინს მოერჩინა ამგვარის შედედებულის სისხლის შემწეობით 27 ჭირით შეპყრობილთ შორის 23 ავადმყოფი; ზოგს ამათგანს ავადმყოფობა მეტად გაძლიერებული ჰქონდა თურმე. საუბედუროდ, ის ცხენი მოგვიკვდა, რომლის შედედებულის სისხლითაც ვსარგებლობდით, მაგრამ სამაგიეროდ, იერსინს აეცრა მრავალის ცხენისათვის ჭირი თავისს ლაბორატორიაში. თურმე ბევრი ცხენი დაიღუპა, მაგრამ ასი ცხენი მაინც დარჩა. ამდროს ევროპაში მოვიდა ამბავი, ინდოეთში ჭირი გაჩნდაო და შიშობდნენ, ვაი თუ ევროპაშიაც გადმოვიდესო. იერსინი წავიდა წარსულ 21 დეკემბერს ინდოითში, თან ველარ წაიღო დამზადებული შედედებული სისხლი, მაგრამ მზადდება და ამ ერთის თვის განმავლობაში გაეგზავნება, ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ იგი შედედებული სისხლი დიდს სარგებლობას მოიტანს და უტყუარი საშუალებაცაა შავი ჭირისწინაალმდეგ. იერსინს ჰყავს ტონკინის ცხენები ყოველ მათგანს შეუძლია მოგვცეს შედედებული სისხლი თვეში 9 ჩარექი, რაც ჰყოფნის 180 ავადმყოფს“.

„რაც შეეხება თვით ავადმყოფობას, აი იმისი ნიშნები: ავადმყოფი უეცრად რაღაც დაქანცულობასა ჰგრძნობს. სცივა, თავის ტკივილი აუტყდება. $^1/_2$ საათის შემდეგ მეხსიერება ეკარგება და 4—5 საათის შემდეგ კვდება, მკერდსა და იღლიაში სიმსივნე უჩნდება. ძალიან იშვიათია, რომ ჭირიანმა ოთხ ან ხუთ დღემდის იცოცხლოს. უფრო იშვიათია კიდევ, რომ ავადმყოფი გადარჩეს. სულ რომ ბევრი ვსთქვათ, ასში ხუთი ძლივს გადურჩება ხოლმე. ამ შემთხვევაში მხოლოდ სამი-ოთხის კვირის შემდეგ მომჯობინდება ავადმყოფი და ამის შემდეგ კარგა ხანს მეტის-მეტს სისუსტესა ჰგრძნობს. ჭირი საშინელი რამ არის და მხოლოდ თვით უძნელეს ხოლერას შეიძლება შეადაროს კაცმა.

ძნელი სათქმელია, შემოიტანენ თუ არა ევროპაში ჭირს. დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპისთვის იმას, რომ ინდოეთიდგან მომავალმა გემებმა უთუოდ სუეზის არხი უნდა გაიარონ და სუეზის არხის ბოლოში-კი კარანტინია დადებული. თუმცა მაინც ძლიერ საშიშარია, რადგან ამ ორის წლის განმავლობაში ჭირი ხანგამოშვებით მძვინვარებდა სპარსეთსა, ავღანისტანსა და ჩინეთში და თანდათან-კი ვრცელდებოდა აზიაში. მით უფრო საშიშარია ჭირის შემოტანა ევროპაში, რომ მეკაში სალოცავად იკრიბებიან აუარებელი მაჰმადიანნი. ადვილი შესაძლებელია აგრეთვე ჭირი შემოიტანონ ხმელეთით“.

—

შავი ჭირის ბაცილის შესახებ თავისი აზრი წარმოსთქვა პროფესორმა პფეიფერმა. მისის აზრით, ბაცილები შედიან კაცის სხეულში სხეულის კანის დასერილ ადგილებიდგან, მაგრამ ის კი აღარ ვიცით, სხვა გზითაც შედიან ორგანიზმში თუ არაო. საშინლად ედება თურმე ვირთაგვებსა და თაგვებს და ადვილი შესაძლოა ეს უკანასკნელნი ავრცელებდნენ ამ ავადმყოფობასაო. რომ ავადმყოფობა გადამდებია, ეს ყოველი ეჭვს გარეშეა.

—

გიბრალტარში 14 დღის კარანტინი დააწესეს ინდოეთიდგანმომავალის გემებისთვის.

—

ნიუ-იორკშიაც დიდი ღონისძიებანია მიღებული შავი ჭირის წინააღმდეგ. დააწესეს კარანტინი და გულ-მოდგინედ ადევნებენ თვალყურს, შავ-ჭირიანს ადგილებიდგან მომავალს გემებს.

—

იტალიელი პროფესორი ბაჩელლი იმ აზრისაა, რომ 9 დღის კარანტინი სრულიად საკმაოა გემისათვის, თუ თვით გემსა და საქონელს, რომლითაც იგი დატვირთულია, კარგი დეზინფექცია უყვესო.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

ხელოვნურად ოქროს გაკეთება ძალაუნებურად მოგვაგონებს საშუალო საუკუნოების ალხიმიკებს, რომელნიც მთელს თავისს სიცოცხლეში თავ-პირს იმტვრევდნენ, რომ სხვა-და-სხვა ნივთების ერთად შეერთებით ნამდვილი ოქრო გაეკეთებინათ. ქიმიას არავითარი საშუალება არა აქვს-რა ისეთი, რომ იმედს გვაძლევდეს ოქროს ხელოვნურად გაკეთებისას, და ამ საგნის გაკეთებაში მეცნიერებას ერთი ნაბიჯიც არ წაუდგამს წინ. ჩვენი დროის ამერიკელები სხვა ნაირად ჰფიქრობენ ამ საგანზე: ამ რამდენისამე ხნის წინად ამერიკაში შემდგარა საუცხოო საზოგადოება, რომელსაც თურმე აზრად აქვს „ვერცხლის ოქროდ გარდაქმნა“. ამ საზოგადოებაში მრავალი სწავლული და მდიდარი კაცი ჩაწერილა წევრად. ხსენებულ საზოგადოების მოთავედ ვიღაც ემმენსი არის, რომელმაც როგორც თითონ ამბობს, მოიგონა ვერცხლის ოქროდ გარდაქმნის საიდუმლო საშუალება. ამ სამის წლის წინად ამერიკელს კარეი-ლეის ვერცხლისაგან გაუკეთებია ყვითელის ფერის ლითონი, რომლის ფიზიკური თვისება თურმე ძლიერ წააგავდა ოქროსას, მაგრამ ქიმიურად-კი ისევ ვერცხლის თვისება ჰქონდა. თურმე ედისონმაც იშრომა ბევრი ამ საქმეზე და გაუკეთა ისეთი ლითონი, რომელიც ძალიან ჰგავს ოქროს. ტესლას და ბალტიმორის პროფესორს ირა-რემსენსაც ბევრი უმუშავნიათ ამ საქმისათვის, კარეი-ლეის მოგონილის საშუალებით თუმცა ოქროდ გარდაქმნის დროს აკლდება ვერცხლის სიმძიმეს 25%, მაგრამ ვინადგან ნამდვილი ოქრო გამოდის, ახალი საზოგადოებისათვის ეს დიდ დანაკლისად არ ჩაითვლებაო.

* *
*

ამ ცოტა ხანში ინგლისელმა ვილკოკსმა გამოიგონა მანათობელი კალამი. რომლითაც ბნელ ოთახში შეიძლება თურმე წერა. კალმის წვერთან გაკეთებულია ელექტრონის პატარა ლამპარი ასე მუხუდოს მარცვლისოდენა. თვით ელექტრონის მანქანა მოთავსებულია კალმის ტარში. ეს კალამი იმდენს სინათლეს იძლევა, რომ სიბნელეში თავისუფლად შეიძლება წერა და მწერალს სანთელი აღარ სჭირდება.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

ბ-ნო რედაქტორო!

4-ს იანვარს, საჩხერის სასოფლო სასწავლებელში იმავე სასწავლებლის მოწაფეთათვის გავმართე „შობის ხე“ ხელის-მომწერელთ მიერ შემოწირულის ფულებით. შეკრებილის 68 მანეთიდგან 24 მანეთი შობის ხის გასამართად დაიხარჯა; დანარჩენის 44 მანეთისა ტანისამოსი, ფეხსაცმელი და სხვა-და-სხვა სასწავლო ნივთები დავურიგე იმავე მოსწავლეებს.

გულითადს მადლობას ვუძღვნი იმათ, რომელთაც მიიღეს ამ საქმეში მონაწილეობა.

კნეინა სოფიო მაჩაბლისა.

## გამოსადეგი ცნობა.

—

ვერცხლის ნივთების გასაწმენდი ფხვნილი. უნდა აიღოთ თანაბარის წონის კრემორტარტარი, პარიზის უმარილო და შაბი და მაღზედ უნდა დაფქვათ; შემდეგ უნდა აურიოთ ერთმანეთში და შეინახოთ მჭიდროდ თავ-დახურულს შუშის ჭურჭელში, ამ ფხვნილის რამოდენიმე ნაწილი უნდა ჩაჰყაროთ ცოტაოდენს წყალში და ამგვარად შემზადებული ცომი თხელი ჩვრით წაუსვათ ვერცხლის ნივთს, შემდეგ საპნიანი წყლით გარეცხოთ და გააშროთ ხის ნახერხში.

# დეპეშა

21 იანვარი.

**კილი** 20 იანვარს ჩამოვიდა გრაფი მურავიოვი; ჩამოსვლისათანავე გრაფი ინახულა იმპერატორმა და შემდეგ მიწვეულ იკმნა იმპერატორთან საუზმეზედ. ნაშუადღევის 2 საათზე გრაფი დაბრუნდა ბერლინს,

**ვენა.** გაზეთი „Politèshe Gorrespondenz“-ი ამბობს, რომ ელჩთა თათბირი კოსტანტინეპოლში დასრულდაო. ელჩთა მიერ შ მუშავებული ცვლილებათა პროექტი ამ დღეებში წარედგინება კაბინეთებს განსახილველად. ხოლო ორი სამის კვირის შემდეგ წინადადება ცვლილებათა შემოღების შესახებ გაეგზავნება პორტას.

**კოსტანტინეპოლი.** ის მოძრაობა, რომელიც დაწყებული იქმნა კანდიის ოლქის მაჰმადიანთა-მიერ, ტეტიმნოშიაც ვრცელდება. ქრისტიანები შემოერტყენ მაჰმადიანთა სოფლებს, მაჰმადიანები კი— ქრისტიანთა სოფლებს. ჰშიშობენ რომ სასტიკი ზომები იქნებიან მიღებულნი. კრიტის ჟანდარმთა დროებითი უფროსი, მაიორი ბორი მალე წავა ახლად დანიშნულ ალაგას.

## საკალენდარო ცნობები

იანვარი

22 ოთხშაბათი წმ. მოციქულისა ტიმოთესი და ღირსის ანასტასია სპარსისა.

კათოლ. წმ. ვიკენტისა და ანასტასიას წამება.

სომეხ. მარხვა.

23 ხუთშაბათი წმ. მღვდელ-მოწამისა კლიმი ანკვირიკისა. მოგონება მე-6 მსოფლიო კრებისა 680 წ.

კათოლ. დანიშვნა წმ. ქალწულისა მარიამისა,

სომეხ. წმ. ათანასისა და კირილესი.

## ეტლების მიმოსვლა ტფილისსა და კავკავს შორის.

ტფილისიდან

ხუთ-ადგილიანი ეტლები გადიან: ერთი დილის 7 საათზედ, ღამეს ათენს მლეთში, მეორე 8 ს. დილით გადიან, ღამეს ათენს ფასანაურში. მოდიან კავკავში, პირველი საღამოს 6 ს. და მეორე 8 საათზედ.

ექვს-ადგილიანი ომნიბუსები გადიან: ერთი დილის 9 ს. და 20 წუთს და მეორე საღამოს 7 საათზედა; ღამეს არსად არა დგებიან; მიდიან კავკავმეორე დღეს, პირველი 12 ს. შუადღეს და მეორე 8 ს. 50 წუთს საღამოს.

კავკავიდან.

ხუთ-ადგილიანი ეტლები გადიან: ერთი დილის 7 საათზედ, ღამეს ათენს მლეთში და მეორე დილის 9 საათზედ, ღამეს ათენს გუდაურში. მოდიან ტფილისს, პირველი საღამოს ს. და მეორე 7 საათზედ.

ექვს-ადგილიანი ომნიბუსები გამოდიან: პირველი დილის 10 საათზედ და მეორე საღამოს 7 საათზედ, ღამეს არსად არ ათენენ. მოდიან ტფილისს მეორე დღეს, პირველი დილის 11 საათზედ და მეორე საღამოს 8 საათზედ.

ფასი მიმოსვლისა

ერთი ადგილი შიგ ეტლში სასელმწიფო ხარჯიანათ—19 მ. 60 კ. ეტლის გაბრიოლეტში—13 მ. 20 კ. ხოლო კოფაზე 5 მ. 40 კ.

შენიშვნა. ეტლების და ომნიბუსების მიმოსვლა ტფილისსა და კავკავს შორის ისე მოწყობილი, რომ როგორც ტფილისს, აგრეთვე კავკავს დროზედ უსწრობენ რკინის გზის მიმოსვლას ტფილისში თუ კავკავში.

**1897.** ГОДЪ СЕДМОЙ. **1897.**

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1897 ГОДЪ
на ежемѣсячный литературно-историческій журналъ
**„ВѢСТНИКЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“**

Въ 1897 году „ВѢСТНИКЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“ будетъ издаваться въ своемъ обичномъобъемѣ. Въсоставъ журнала войдутъ: Классическія произведенія.—Романы, повѣсти и расказы.—Маленькая юмористика.—По вопросамъ общественнымъ и нравственнымъ.—Критическіе этюды.—Новое о знаменитыхъ писателяхъ.—Россія заграницей.—Научныя новости.—Историческіе очерки, разсказы и анекдоты —Изъ заграничной хроники.—Стихотворенія.—Мелочи.

**Съ января 1897 года въ приложеніи будетъ печататься историко-литературная монографія ГЕОРГА БРАНДЕСА**

**ВИЛЛІАМЪ ШЕКСПИРЪ**

Исторія его жизни и дѣятельности по его твореніямъ и на оснаваніи критическаго изслѣдованія наилучшихъ источниковъ Шекспирской литературы. *Въ трехъ частяхъ своего труда Георгъ Брандесъ прослѣживаетъ жизнь и творчество Шекспира въ условіяхъ его времени изъ года въ годъ, отъ сочиненія къ сочиненію, и возсоздаетъ яркій образъ этого величайшаго изъ геніевъ всемірной литературы.*

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА 1897 ГОДЪ ПРЕЖНЯЯ:**
съ доставкою и пересылкою **4** р | безъ доставки и пересылки **3** р. **50** к.

**подписка на 1896 годъ продолжается по той же цѣнѣ.**

**подписка принимается:** въ С.-Петербургѣ— въ Конторѣ Редакціи, ГОСТИНЫЙ ДВОРЪ, Зеркальная линія, №63, магазинъ ПАНТЕЛЕЕВА (противъ Пажескаго Корпуса); въ Москвѣ— въ Конторѣ Н. Н ПЕЧКОВСКОЙ, Петровскія линіи, а гг. иногородніе благоволятъ адресоваться въ Редакцію, С.-Петербургъ, Верейская ул., № 16, собств.

Редакторъ Ө. И. Булгаковъ Издатель Г. Ө. Пантелеевъ

„Вѣстникъ Иностранной Литературы“ за 1891, 1892, 1894, и 1895 гг. продается по 4 р. годъ съ пересылкою до всѣхъ станцій желѣзныхъ дорогъ товаровъ малой скорости, а съ пересылкою по почтѣ за каждый годъ на 2 рубля дороже.

**ТАМЪ ЖЕ ПРИНИМАЕТСЯ ПОДПИСКА**
НА 144 ТОМА СОЧИНЕНІЙ СЛѢДУЮЩИХЪ ПИСАТЕЛЕЙ:

Э. Зола, Бальзака, Флобера, Ж. Занда, Динкенса, Вальтеръ Скотта, Бретъ-Гарта, М. твэна, Этгара Поэ, Шпильгагена, Гофмана и Эберса.

**ВСѢ 144 ТОМА** будутъ изданы въ теченіе трехъ лѣтъ, по 48 том. въ годъ, т. е. по 4 тома ежемѣсячно, по 320 стран. въ каждомъ томѣ въ 8 д. листа, четкимъ шрифтомъ. Форматъ и шрифтъ - собранія сочиненій Гюи де Мопасана.

*По 15 Ноября 1896 г. вышло 48 томовъ*

**ЦѢНА ТОЛЬКО ПО ПОДПИСКѢ:**
**ЗА ВСѢ 144 ТОМА** безъ доставки **36 Р.**, съ доставкою въ Петербургѣ и съ пересылк. въ друг. города **48 Р.**

разсрочка допускается на слѣдующихъ основаніяхъ:

**Подписчикамъ безъ доставки:** при подпискѣ вносится 15 руб., къ 15 декабря 1896 г. 3 р., а затѣмъ каждые три мѣсяца, считая съ 15 декабря 1896 г., вносится 3 р.

**Подписчикамъ съ доставкой и пересылкой:** при подпискѣ вносится 20 руб., къ 15 декабря 1896 г. 4 р., а затѣмъ каждые три мѣсяца, считая съ 15 декабря 1896 г., вносится по 4 р.

*По этой цѣнѣ подписка принимается только* **на 5000 экземпляровъ,** *а затѣмъ ПОДПИСНАЯ ЦѢНА ПОВЫСИТСЯ. о чемъ будетъ объявлено своевременно.*

*ТАМЪ ЖЕ можно получить СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ:*
ГЮИ ДЕ МОПАСАНА. 2-е изданіе. 12 томовъ. Цѣна 6 р., съ пересылкой 7 р. 50 к.
АЛ. ДОДЕ. 12 томовъ Цѣна 6 р., съ пересылкой 7 р. 50 к.
В. ТЕККЕРЕЯ. 12 томовъ. Цѣна 6 р., съ пересылкой 7 р. 50 к.

ИЗЯЩНЫЕ КОЛЕНКОРОВЫЕ ПЕРЕПЛЕТЫ:
Цѣна 6 переплотовъ на 12 томовъ А. Додэ 1 р. 80 к., на 12 том. В. Теккерея 1 р. 80 к. и на 12 том. Гюи до Мопосана 1 р. 80 к. Перес. 6 перепл. за 3 ф., по разстояніямъ. **АДРЕСОВАТЬСЯ:** въ редакцію „Вѣстника Иностранной Литературы“, Спб., Верейская, 16 или въ контору, Гостиный дворъ, магазинъ П. Ө, Пантелеева, № 63.

(12—1)

Дозволено цензурою, Тифлисъ 21-го Января 1897 г.   სტამბამ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.